საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული
დავების განხილვის საბჭო

სტატისტიკური ანგარიში

დავების განხილვის საბჭოს აპარატი

2014

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული დავების განხილვის საბჭოს მიერ 2014 წელს გაწეული საქმიანობის სტატისტიკური მონაცემების ამსახველ დოკუმენტს.

საერთო მაჩვენებლები

2014 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოში რეგისტრირებულია 1940 საჩივარი.



2014 წლის განმავლობაში დავების განხილვის საბჭოს მიერ გაიმართა 102 სხდომა.



2014 წელს დავების განხილვის საბჭოს სხდომაზე განსახილველად გატანილია 3027 საჩივარი

დინამიკა წლების მიხედვით



2014 წელს დავების განხილვის საბჭოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 2550 საქმეზე.

დინამიკა წლების მიხედვით



2014 წელს სადავო თანხამ შეადგინა 521,341 მილიონი ლარი.

სადავო თანხის დინამიკა წლების მიხედვით

(მილიონი ლარი)



გადაწყვეტილებები

მიღებული გადაწყვეტილებებით მომჩივანთა მოთხოვნა 1062 შემთხვევაში სრულად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, 1052 მომჩივანს უარი ეთქვა, ხოლო 436 შემთხვევაში საჩივარი განუხილველი დარჩა მომჩივნის მიერ სხვადასხვა პროცედურული მოთხოვნის დარღვევის ან დავის შეწყვეტის გამო.

საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი საჩივრების რაოდენობის მიხედვით



საჩივრების დაკმაყოფილების კოეფიციენტი სადავო თანხების მიხედვით



მომჩივნები

საჩივრების უმეტესი ნაწილი წარმოდგენილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების და ინდივიდუალური მეწარმეების მიერ:



განხილული საჩივრებიდან ხარვეზი საერთო რაოდენობის 17%–ზე დადგინდა.



დავის საგნები

საბჭოს მიერ განხილულ საჩივრებში ჭარბობდა შემდეგი დავის საგნები:

1. საგადასახადო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერება;
2. საქართველოს საბაჟო საზღვრის გადაკვეთასთან დაკავშირებული საგადასახადო სანქციები;
3. ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის არ არსებობის გამო გამოსაქვითი ხარჯის შემცირება;
4. ანგარიშვალდებულ პირზე საქვეანგარიშოდ გაცემული თანხების დაბეგვრა;
5. შემოსავლების სამსახურის მიერ საჩივრის განუხილველად დატოვება;
6. უსაქონლო ოპერაციის ან ფიქტიური გარიგების გამოვლენის შედეგად განხორციელებული დარიცხვის მართლზომიერება
7. სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირება
8. საგადასახადო ვალდებულებების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით განსაზღვრა.
9. სესხის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე განხორციელებული დარიცხვები
10. ამხანაგობაში მომსახურების შეტანის გრძელვადიანი კონტრაქტის შესაბამისად მომსახურების მიწოდებად განხილვა
11. მიწის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობების რეალიზაციის დღგ-ით დაბეგვრა
12. სალაროს ნაშთის ანგარიშვალდებულ პირზე გაცემულ უპროცენტო სესხად, ხოლო სარგებლის თანხის აღნიშნული პირის მიერ ხელფასის სახით მიღებულ შემოსავლად მიჩნევა
13. ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის განსაზღვრის გამო გამო განხორციელებული დარიცხვა
14. არარეზიდენტის მიერ მიღებული შემოსავლის გადახდის წყაროსთან დაბეგვრა
15. არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურების უკუდაბეგვრის დღგ-ით დაბეგვრა
16. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციის შედეგები